ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:№44. 442616017
თარიღი:09/06/2026

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და მის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშების საბანკო მომსახურების მიღების მიზნით კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო კომისიის შექმნის, კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 01 ივნისის №44. 442615211 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე.“ და ე.ვ“ ქვეპუნქტებისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და მის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშების საბანკო მომსახურების მიღების მიზნით კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო კომისიის შექმნის, კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 01 ივნისის №44. 442615211 ბრძანებაში. კერძოდ ბრძანებით დამტკიცებულ N1 დანართს /ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და მის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშების საბანკო მომსახურების მიღების მიზნით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების წესი და პირობები/ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჟ“ ქვეპუნქტი: „ჟ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული ღია საბანკო კონკურსის მიმდინარეობისას, კომისიის გადაწყვეტილებით და მხოლოდ კონკურსში შემორჩენილი ბანკების თანხმობის შემთხვევაში, კონკურსი შეიძლება გაგრძელდეს არა საპროცენტო განაკვეთის შემდგომი ზრდის, არამედ მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ დასახარჯი თანხის 500 000 ლარზე ზემოთ გაზრდილი ოდენობით შეთავაზების მიმართულებით, ამასთან კონკურსის მიმდინარეობისას შემოთავაზებული მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი დარჩება ძალაში“.

2. დაევალოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის

ხელმძღვანელს - ვ. სილაგაძეს, უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების /დანართებითურთ/ გადაგზავნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქმედი ყველა საბანკო დაწესებულებისადმი.

3. დაევალოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელს პეტრე ადამაძეს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ. გვერდზე http://kutaisi.gov.ge/ გამოქვეყნება.

4. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, დავით ნიშნიანიძემ.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვიქტორ კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დავითი ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი